

ასოციაცია მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

შპს „RMG Gold-ის სალიცენზიო ფართობში არსებული მაგისტრალური გაზსადენის წითელი ხიდი - წალკა - ახალქალაქის განშტოების „საყდრისის“ საბადოს „ყაჩაღიანის“ უბანზე გამავალი მონაკვეთის გადატანის პროექტის საზოგადოებრივი განხილვისათვის წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

12 დეკემბერი, 2013 წ.

წარმოგიდგინებ შენიშვნებსა და კომენტარებს შპს „RMG Gold-ის სალიცენზიო ფართობში არსებული მაგისტრალური გაზსადენის წითელი ხიდი - წალკა - ახალქალაქის განშტოების „საყდრისის“ საბადოს „ყაჩაღიანის“ უბანზე გამავალი მონაკვეთის გადატანის პროექტის საზოგადოებრივი განხილვისათვის წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე:

1. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი განხილვისათვის წარმოდგენილი გზმ დოკუმენტი მეტად დაბალი ხარისხისაა; ხოლო, გზმ ანგარიშის უმეტესი ნაწილი წარმოადგენს „რუსთავი-საგარეჯოს 300 მმ დიამეტრის 25 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის კოპირებულ ასლს. ასეთი ქვეთავებია: თავი 1. „შესავალი“; 3.1 ქვეთავი „პროექტის განხორციელება“; 3.2 ქვეთავი „დასკვნა“; 4.4 ქვეთავი „ჩამკვეტი არმატურა“; 4.5 ქვეთავი „შემაერთებული დეტალები“; 4.6 ქვეთავი „იზოლაცია“; 4.7 ქვეთავი „გაზსადენის ელექტროქიმიური დაცვა“; 4.8 ქვეთავი „ბუნებრივი და ხელოვნური ბარიერების გადაკვეთა“; 4.9 ქვეთავი „მისასვლელი გზები“; 4.10 ქვეთავი „გაზსადენის გამოცდა“; 6 თავი „გარემოზე ზემოქმედება და შემარბილებელი ზომები“ მთლიანად; 7. თავი „საგანგებო სიტუაციების მართვა“, ასევე, მთლიანად და ბოლო ქვეთავი, დასკვნები და რეკომენდაციები.

2. ანგარიშში მოცემულია პროექტისათვის შეუსაბამო არაერთი ინფორმაცია. მაგალითის სახით რამოდენიმე მათგანს მოვიყვანთ: „უნდა აღინიშნოს, რომ სამშენებლო სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში და რომ მანქანა-დანადგარების ერთდრული სრული კონცენტრაცია პრაქტიკულად გამორიცხებულია. შესაბამისად, მშენებლობის პერიოდში სოფელ სათაფლეს მოსახლეობაზე ხმაურს უარყოფითი ზემოქმედების ალბათობა შეიძლება შეფასდეს, როგორც დაბალი“; „გაანგარიშებული ემისიის შედეგები გაანგარიშებულია მშენებლობის პროცესში მიმდებარე ტერიტორიის (უახლოესი დასახლებული პუნქტი - სოფ. სათაფლე, მანძილი დაახლოებით 1200 მ.)“. იმის გათვალისწინებით, რომ სოფ. სათაფლე მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში და არანაირი შეხება არ აქვს ბოლნისის რაიონთან, შეუძლებელია მსგავსი ტიპის მონაცემები მიღებულ იქნას.

სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით მრავლად ვხვდებით მსგავსი ტიპის, მოცემულ პროექტთან შეუსაბამო ინფორმაციას, მაგალითად, 6.5 ქვეთავში „ზემოქმედება წყლის გარემოზე“ ნათქვამია, რომ „საპროექტო გაზსადენი კვეთს ქვემო სამგორის სარწყავ არხს და მცირე წყლიან მდინარე არხაშენს“. ან მსგავსი 6.12 ქვეთავი და აქ მოცემული წინადადებები. მაგალითად, „სოფელ სათაფლეს პროექტის

ზეგავლენის ქვეშ მოხვედრილი მოსახლეობის ნაწილს გააჩნია მოლოდინი, რომ მათ პროექტის მშენებლობის პროცესში ექნებათ დასაქმების შესაძლებლობა“. მოცემული წინადადებაც, აგრეთვე სიტყვასიტყვითაა გადმოწერილი „რუსთავი-საგარეჯოს 300 მმ დიამეტრის 25 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის“ გზშ ანგარიშიდან. მოცემული გზშ დოკუმენტის გაცნობის შემდეგ ნათელი ხდება, რომ პროექტის განმახორციელებლებს არანაირი ძალისხმევა არ გაუწევიათ უშუალოდ მიმდინარე პროექტის ფარგლებში, საპროექტო ტერიტორიაზე მცხოვრებ ადგილობრივი მოსახლეობისათვის ინფორმირებისა თუ კონსულტაციისათვის.

ასეთი ტიპის ინფორმაცია სრულიად მთელს დოკუმენტს მოიცავს, მცირე გამონაკლისის გარდა.

3. ყურადსადება, რომ გზშ ანგარიშში არაა ნათლად წარმოდგენილი განსახორციელებელი პროექტის ადგილმდებარეობა. იმის მიხედვით, რომ გზშ ავტორი საუბრობს ხან საგარეჯოს ტერიტორიაზე არსებულ მონაკვეთებსა და ხან ბოლნისის ტერიტორიაზე განსახორციელებელ პროექტზე, საბოლოოდ მკითხველისათვის სრულიად გაუგებარი ხდება, თუ სად უნდა მოხდეს პროექტის განხორციელება, რა ტერიტორიებსა და რა რაოდენობის კერძო მიწის ნაკვეთებს მოიცავს და ა.შ. მხოლოდ ამ სახის ინფორმაციის არსებობის შემდეგ იქნება შესაძლებელი, რომ საერთოდ ვიმსჯელოთ განსახორციელებელი პროექტის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

4. საზოგადოებრივი განხილვისათვის წარმოდგენილ გზშ ანგარიშის 3. ქვეთავში „ალტერნატივები“, განხილულია პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობისა და პროექტის განუხორციელებლობის ალტერნატივები და ბოლოს დასკვნა. თუმცა განხილული ალტერნატივები ნათლად არაა წარმოდგენილი. ასევე, მეტად ბუნდოვანია რატომ მიენიჭა მესამე ალტერნატივას პრივილეგია. დაბნეულობას იწვევს ის ფაქტიც, რომ 3.2 ქვეთავში „დასკვნა“, მოცემულია პროექტისათვის მეტად შეუსაბამო სახის ინფორმაცია, მაგალითად, გზშ ანგარიშში ნათქვამია, „*პირველი ალტერნატივის შემთხვევაში განხილული ზოგიერთი დეტალი, განსაკუთრებით კი სამხედრო პოლიგონის არსებობა მნიშვნელოვანი ფაქტორია მეორე ალტერნატივის სასარგებლოდ*“. გაუგებარია რომელ სამხედრო პოლიგონზე საუბრობს გზშ ავტორი და ასევე რა კავშირშია აქ წარმოდგენილ ალტერნატივებთან.

გზშ კანონმდებლობის მიხედვით, ანგარიშში წარმოდგენილი ქვეთავი, „ალტერნატივები“ ასევე უნდა მოიცავდეს ტექნოლოგიურ ალტერნატივებს, თუმცა, მოცემულ დოკუმენტში მსგავსი სახის ინფორმაცია ასევე არაა წარმოდგენილი.

5. გზშ ანგარიშის 3.2 ქვეთავში გზშ ავტორი უთითებს, რომ „*მთელი დერეფანი მნიშვნელოვნად არის სახეცვლილი ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად და ძირითადად სახნავ - სათეს ფართობებზე გადის*“, თუმცა, დოკუმენტში არაა წარმოდგენილი ზუსტი ინფორმაცია, რა რაოდენობის კერძო მიწის ნაკვეთებს მოიცავს საპროექტო ტერიტორია, რა გავლენა ექნება პროექტის განხორციელებას მოსახლეობაზე, რომლებიც ფლობენ ამ სახნავ-სათესი მიწის ფართობებს და შესაბამისად, რა შემარბილებელი ღონისძიებების გატარებაა საჭირო.

6. პროექტის შესახებ არსებული ერთი და იგივე ინფორმაცია მეორდება დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილში. მაგალითად, 4.1 ქვეთავის დასაწყისში მეორდება შესავალში წარმოდგენილი ინფორმაცია გვ 7/137. ასევე, მე-3 თავის დასაწყისში „ალტერნატივები“, მოცემული ინფორმაცია ასევე წარმოდგენილია 1.1 ქვეთავში „პროექტის საჭიროების დასაბუთება“.

7. დოკუმენტში წარმოდგენილია აგრეთვე მეტად უხარისხო ნახაზები, მაგალითად, გვ 21-22 წარმოდგენილი ნახაზი მკითხველს უნდა აძლევდეს საშუალებას მიიღოს ინფორმაცია არსებული და დაგეგმილი გაზსადენის მდებარეობის შესახებ, თუმცა, მოცემული ნახაზი მეტად ბუნდოვანი და უხარისხოა.

8. ყურადსაღებია, რომ გზშ ანგარიშში მოცემული ზოგიერთი ქვეთავი წარმოადგენს, ასევე „საყდრისის საბადოს მადნის გროვული გამოტუტვის საწარმოო უზნის“ ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიდან გადმოტანილ ტექსტს, რაც ხელს უშლის მკითხველისთვის სასარგებლო, უშუალოდ პროექტთან დაკავშირებული ინფორმაციის აღქმას. ასეთია მაგალითად 5.4 ქვეთავი „რადიაციული ფონი“, „ჰიდროლოგიური ქსელის დახასიათება“.

9. 5. 7 ქვეთავი ფლორა და ფაუნა მეტად ზედაპირულადაა მომზადებული, აქ წარმოდგენილი მასალა მკითხველს ვერ აძლევს მოსალოდნელი ზემოქმედების სრულად შეფასების საშუალებას, გამომდინარე იქედან, რომ არ არის წარმოდგენილი დაზუსტებით რომელი სახეობებია გავრცელებული საპროექტო ტერიტორიაზე, მათ შორის წითელი ნუსხისა და ენდემური სახეობები. ავტორის მეტად ზედაპირულ დამოკიდებულებას ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი სახის წინადადებები იძლევა, მაგალითად, „წინასწარი მონაცემები არ იძლევა იმის საშუალებას განვსაზღვროთ, თუ რამდენად ორიგინალური ან გამორჩეულია უზნის ფაუნა რეგიონალური ფაუნისაგან“. ასევე, გზშ ანგარიშში მოცემულია რამოდენიმე ცხრილი შემდეგი სახის სათაურით „საქართველოს ფლორის საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები, რომლებიც შესაძლოა შეგვხვდეს კაზრეთის მიდამოებში“. ან მსგავსი „რეგიონში გავრცელებულ რეპტილიათა სავარაუდო სია“, „რეგიონში გავრცელებულ ამფიბიათა სავარაუდო სია“.

იმას, რომ საპროექტო ტერიტორია სრულიად შეუსწავლელია, შემდეგი წინადადებიდანაც ნათელი ხდება: „რაც შეეხება იქტიოფაუნას, ძნელია რეალობასთან თუნდაც რამდენიმე მიახლოებული ექსტრაპოლაციის გაკეთება, სახეობათა სპეციფიკურობისა და მდინარეთა დღევანდელი ეკოლოგიური მდგომარეობის არცოდნის გამო“-- ქვეთავი „ფაუნა – გვ 43“.

გვ. 47/137 - ზე მოცემულია ცხრილი „რეგიონში გავრცელებულ ძუძუმწოვართა სავარაუდო სია“, სადაც ჩამოთვლილია საპროექტო ტერიტორიაზე სავარაუდოდ გავრცელებული სახეობების სია, სრულიად გაუგებარია აქ ჩამოთვლილ ზოგიერთ სახეობას რატომ აქვს „?“ ნიშანი დასმული.

გარდა ამისა, დოკუმენტში წარმოდგენილი სახეობების უმეტესი ნაწილი მოცემულია მხოლოდ ლათინური სახელწოდებებით.

ქვეთავის „ფლორა და ფაუნა“ გაცნობის შემდეგ სრულიად ნათელი ხდება, რომ პროექტის განმახორციელებლებს აქ წარმოდგენილი ინფორმაცია მომზადებული აქვთ მხოლოდ ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით და ისიც, არასრულყოფილად და ვარაუდის სახითაა წარმოდგენილი და არანაირ საველე კვლევის მონაცემებს არ მოიცავს.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ იმის გამო, რომ დოკუმენტი გადმოწერილია „რუსთავი-საგარეჯოს 300 მმ დიამეტრის 25 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობის“ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და „საყდრისის საბადოს მადნის გროვული გამოტუტვის საწარმოო უზნის“ ექსპლუატაციის შედეგად გამოწვეული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებიდან, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული დოკუმენტი არ მოიცავს საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის #31 ბრძანებით დამტკიცებულ „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულების „მე-6“ მუხლით

გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ გზშ დოკუმენტში არაა წარმოდგენილი: 1. გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი; 2. არაა დადგენილი საქმიანობით გამოწვეული ზეგავლენის წყაროები, სახეები და ობიექტები; გზშ არ მოიცავს 3. დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას; 4. გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და თავიდან აცილების გზებს, საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრას; 5. პროექტების ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების ჩატარებას; 6. პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიის ალტერნატივების განსაზღვრას; 7. საზოგადოების ინფორმირებასა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლას; 8. პროექტის განხორციელების შემდგომ სიტუაციის ანალიზის გეგმას; 9. გარემოზე დადგენილ ზემოქმედებათა ფაქტორების შედეგად მიღებული გარემოს მოსალოდნელი მდგომარეობის პროგნოზს.

ასევე, გამომდინარე იქედან, რომ ქვეთავების მცირე რაოდენობა რომელიც უშუალოდ ამ პროექტისათვისაა (სხვადასხვა გზშ დოკუმენტებიდან გადმოწერის გარეშე) მომზადებული მეტად ზედაპირულია, მიგვაჩნია, რომ ამ გზშ ანგარიშის წარმოდგენილი სახით გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად წარდგენა, ყოვლად დაუშვებელია.